

კონტურული რუკები

იმუშავე უბრალო და ფერადი ფანქრებით, უმჯობესია პასტელური ფერები შეარჩიო, რათა ნარწერები კარგად იყოს გამოკვეთილი. ნუ გამოიყენებ ფლომასტერებს, ვინაიდან შეცდომის შემთხვევაში ვერ ნაშლი. გარდა ამისა, შეიძლება გაჟონოს მეორე გვერდზე. შრაფირების (დაშტრიხვის) გამოყენების შემთხვევაში დაიხმარე სახაზავი. ოკეანების, ზღვების და მდინარეების სახელწოდებები დაიტანე ლურჯი ფერით.

გაკვეთილი 1. ვინ იყვნენ პირველი ადამიანები და როგორ განსახლდნენ ისინი დედამიწაზე?

რუკა 1 ჰომინინთა აღმოჩენები აფრიკის თანამედროვე ქვეყნების საზღვრებში



გამოიყენე გაკვეთილის წყარო 2 და დანართი 1 (მსოფლიოს პოლიტიკური რუკა). წარმოიდგინე, რომ რუკის შედგენა შენი იდეაა და არა დავალება. ასეთ შემთხვევაში, რუკის შემდგენლის გარდა, შენ იქნები რუკის ავტორი ანუ ნამდვილი კარტოგრაფი!

რუკის შედგენა ყოველთვის დაიწყე ლეგენდით. მას ყოველთვის აქვს სათაური. გააგრძელე დაწყებული ლეგენდის შევსება ცხრილის მიხედვით, მიუწერე პერიოდები. გააფერადე უჯრები შენი შერჩეული ფერებით. თუ მეორდება რომელიმე ქვეყანა, ერთისთვის შეარჩიე ფერი, მეორესთვის – რომელიმე გეომეტრიული ნიშანი (პატარა წრეები, სამკუთხედები და სხვ.) ან ჩახაზე პარალელური ხაზები (კარტოგრაფები ასეთ მეთოდს შრაფირებას უწოდებენ).

ლეგენდის დასრულების შემდეგ ლურჯი ფერით გამოკვეთე მდ. ნილოსი. დაიწყე რუკის დაფერვა ლეგენდის მიხედვით. ლურჯი ფერით წარწერები გაუკეთე ოკეანეებს, დიდ ზღვებსა და მდ. ნილოსს; შავი ან სხვა ფერით კი – გაფერადებულ ქვეყნებს. გეომეტრიული ნიშნების ან შრაფირების დატანა მოახდინე წარწერების დატანის შემდეგ ისე, რომ წარწერებზე არ გადავიდეს.

რუკა 6 დიდი ბერძნული კოლონიზაცია



სახელმძღვანელოს დანართი 1-ის (მსოფლიოს პოლიტიკური რუკა) და ამავე გაკვეთილის წყარო დ-ს მიხედვით განსაზღვრე, რომელი თანამედროვე ქვეყნების ტერიტორიებზე ვრცელდებოდა ძველი ბერძნული კოლონიები. სხვადასხვა ფერით გააფერადე ეს ქვეყნები, ნარწერები გაუკეთე მათ, ასევე ზღვებსა და ლეგენდაში გამოტანილ ხაზს.

რუკა 9 რომის და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები აზიასა და აფრიკაში



სახელმძღვანელოს დანართი 1-ის (მსოფლიოს პოლიტიკური რუკა) და ამავე გაკვეთილის წყარო 2-ს მიხედვით განსაზღვრე რომის გავლენის ქვეშ მყოფი თანამედროვე ქვეყნები აფრიკასა და აზიაში. სხვადასხვა ფერით გააფერადე ეს ქვეყნები, წარწერები გაუკეთე მათ, ასევე ზღვებსა და ლეგენდაში გამოტანილ ხაზს.

გაკვეთილი 39. როგორ შეასენა თავისი მნიშვნელობა ქართლის სამეფომ რომის იმპერიას?



სახელმძღვანელოს დანართი 1-ის (მსოფლიოს პოლიტიკური რუკა) და ამავე გაკვეთილის წყარო 0-ს დახმარებით დაადგინე ის თანამედროვე სახელმწიფოები, რომლებიც ერთდროულად მდებარეობდნენ როგორც ბიზანტიის იმპერიის, ისე სასანიანთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს ქვეყნები გააფერადე სხვადასხვა ფერით. წარწერები გაუკეთე ზღვებს, დაფერილ ქვეყნებსა და ძველ ორ სახელმწიფოს.

გაკვეთილი 48/49. რა სირთულეებს გადაწყდა ბიზანტიისა და სასანური ირანის იმპერიებს შორის მოქცეული საქართველო?

სავარჯიშოები

მოსწავლის რვეულის ამ ნაწილში წარმოდგენილია დამატებითი სავარჯიშოები მოსწავლის წიგნის მასალისთვის. მასწავლებლის მითითების მიხედვით, ისინი საკლასო ან დამოუკიდებელი სამუშაოს სახით უნდა შეასრულო.

მე-2/3, მე-6 და მე-11 გაკვეთილების დახმარებით შეავსე ცხრილი:

ადამიანის სამოსახლოები სხვადასხვა ეპოქაში

	პირველყოფილი ადამიანის სადგომი	არუხლო	იმირის გორა	ქვაცხელები
დასახლებისთვის შერჩეული ადგილი				
უსაფრთხოება და დაცულობა				
წყალთან სიახლოვე				
საშენი მასალა				
ნაგებობის დამახასიათებელი ნიშანი				

გაკვეთილი 17. რას ნიშნავს „წინარესახელმწიფოებრივი კოლხეთი?“

კოლხური ბრინჯაოს კულტურის შესახებ შესწავლილი მასალა წარმოადგინე ცხრილის სახით:

კოლხური ბრინჯაოს კულტურა

კულტურის გავრცელების არეალი	სამოსახლოს სახეობა	ადამიანთა საქმიანობის სფეროები	გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები

გაკვეთილი 32/33. როგორ გაჩნდა და ვითარდებოდა ქალაქები ანტიკური პერიოდის საქართველოში?

გაკვეთილის წყარო პ-ს და დანართი 2-ის (საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკა) დახმარებით შეავსე ცხრილი თანამედროვე სახელებით. მინიშნება: დანართის რუკაზე სოფლები არ არის დატანილი, ამიტომ, თუ მასზე დასახლებას ვერ აღმოაჩენ, მაშინ ის სოფელია.

ძველი ქალაქის სახელწოდება	დღეს ქალაქი/დაბა	დღეს სოფელი	დღეს ნასახლარი
პიტიუნტი			
ეშერა			
დიოსკურია			
გიენოსი			
ფასისი			
ფიჭვნარი			
პეტრა			
აფსაროსი			
ციხეგოჯი			
ქუთაია			
სური			
საირხე			
სარაპანისი			
ოდრხე			
წუნდა			
ურბნისი			
უფლისციხე			
ნასტაკისი			
კასპი			
სარკინე			
მცხეთა			
არმაზციხე			
ჟინვალი			
ნეკრესი			

გაკვეთილი 45. როდის გაჩნდა ქართული დამწერლობა?

ვებგვერდზე www.geomanuscript.ge „ქართული ხელნაწერი წიგნის“ ელექტრონული ალბომის დათვალიერების შემდეგ შეავსე ცხრილი:

ქართული ხელნაწერი წიგნი

შინაარსი	წიგნის სახელწოდება	შექმნის ზუსტი ან სავარაუდო თარიღი
საერო		
სასულიერო		